



საქართველოს იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030443050924517

04-74/ო

16 / თებერვალი / 2017 წ.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 13 თებერვლის N01/8520 (N04/6925, 06.02.2017წ.) წერილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე და 61-ე მუხლების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს:

- ა) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით (შემდგომში–დადგენილება) დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ, საანგარიშო პერიოდში, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმები (დანართები N1- N27);
- ბ) „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ ფარგლებში, საანგარიშგებო დოკუმენტაციის (შემთხვევათა რეესტრი) შევსების ინსტრუქცია (დანართი N28).

2. ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართების მიხედვით:

- ა) მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს 2017 წლის თებერვლიდან გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე;
- ბ) მიმწოდებლის მიერ 2017 წლის იანვარსა და ასევე, ამ პერიოდამდე გაწეულ სამედიცინო მომსახურებებზე საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს 2016 წლის 19 თებერვლის N04-72/ო ბრძანებით დამტკიცებული დანართების მიხედვით.

3. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართების გაცნობა შესაბამისი მიმწოდებლებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენა საანგარიშო პერიოდში წარმოსადგენი ანგარიშგების შესაბამისი ფორმ(ებ)ის შევსებასთან დაკავშირებით;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

4. წინამდებარე ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს 2016 წლის 19 თებერვლის N04-72/ო ბრძანება.

5. ბრძანების შესრულების კოორდინაცია დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსს (კ. ჩხარტიშვილი).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



თამაზ მოდებაძე